საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოტივი

მოტივი ლიტერატურაში, მხატვრული ტექსტის უმარტივესი, განუყოფელი აზრობრივი ერთეული. **მ**., როგორც ცნება, ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრებულია მუსიკის გავლენით, სადაც ის აღნიშნავს რამდენიმე ნოტისგან შედგენილ ჯგუფს. იგი არის სემანტიკური გამეორება (სიტყვის ან შესატყვისისა) ტექსტის ფარგლებს გარეთ; შეიძლება იგულისხმებოდეს ქვეტექსტშიც ან წარმოდგენილი იყოს სათაურის, ან ეპიგრაფის სახით. მისი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა არასრული რეალიზებულობა. **მ**-ის ცნება დანერგილია თეორ. პოეტიკაში, შედარებით ლიტერატურისმცოდნეობაში, აგრეთვე – ზეპირსიტყვიერებაში.

თეორ. პოეტიკაში **მ**-ით აღინიშნება მნიშვნელოვანი და, როგორც წესი, განმეორებადი „საყრდენი“ მხატვრული საშუალებები და ხერხები; მაგ., გადაცემის **მ**. – დამახასიათებელია კომედიებისა და ფარსებისათვის, ხოლო ცნობა/ვერცნობის **მ**. გვხვდება მრავალ ტრად. ჟანრში (ეპოსი, ტრაგედია და ა. შ.). **მ**-ის პოლისემანტიკურობის გამო ხშირია შინაარსობრივად ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული შესატყვისები – შემოქმედების **მ**. (თემები), ფოლკლორული **მ**. (უმარტივესი თხრობითი ფორმულა), ლირიკული **მ**. (გრძნობისა და იდეების განმეორებადი კომპლექსი), „მოტივური სტრუქტურა“ (ტექსტის განმეორებადი ელემენტების კონცეპტუალურად ირიბული კავშირი).

მ. ერთგვარად ენათესავება იდეას. იდეა პრობლემის გადაწყვეტას, მწერლის ტენდენციის გამეორებას გულისხმობს, **მ**. – გადასაწყვეტს, მწერლის იდეური მიდრეკილების გამოვლენას. ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ეროვნ. მ. სხვადასხვა კუთხით ვლინდება. ეროვნ. **მ**-ზეა აგებული „მგზავრის წერილები“, „დიმიტრი თავდადებული“, „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“. ეს საერთო **მ**. სხვადასხვა იდეურ გადაცემაში იჩენს თავს და

კონკრეტდება, ამიტომ ერთია **მ**., მეორე კი – მისი იდეური გადაჭრა. **მ**-ის მნიშვნელობა დამოკიდებულია არა საკუთრივ მის აზრზე, არამედ მის როლზე მხატვრულ კონსტრუქციაში.

ლიტ.: ლ ო მ ი ძ ე თ., მოტივი, წგ.: ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, თბ., 2012.

მ. თუშიშვილი